ხელშეკრულება № 2/
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვის განხორციელების მიზნით,გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად (CPV 15861000 - ყავა; CPV 15831000 - შაქარი)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "20" 02 2019 წ. თბილისი.

ერთის მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა,** წარმოდგენილი მისი საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ეკატერინე დანელიას სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956
ბანკის დასახელება: ქ. თბილისი, ,,სახელმწიფო ხაზინა"; ბანკის კოდი: TRESGE22; ა/ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორეს მხრივ, **შპს "საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ირინე უჩანეიშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. № 2
საიდენტიფიკაციო კოდი: 205 116 088
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი"; ბ/კოდი:TBCBGE22; ა/ა GE 11 TB 0690 3360 2010 0005 GEL
შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს **დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონელი,** შემდგომში ,,საქონელი", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **1'832.00 (ერთიათსრვაასოცდათორმეტი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის (საცალო) ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის (პრეისკურანტი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. საქონლის მოწოდების ვადები და ადგილი

4.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნიდან (მოთხოვნა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე ელექტონული ფორმითაც) არაუგვიანეს 2 დღის ვადაში, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, წმიდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96.

მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.3 მიმწოდებლის მიერ 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიწოდების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი (2019 წლის);

7.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. ფასები

8.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

8.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 10. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

10.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

10.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს შესაბამისი საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას;

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

12.2. თუ ერთ–ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

12.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

12.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო - შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.6. შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 0.02% პროცენტი.

12.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13. გადასახადები და გაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში

მუხლი 14. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

15.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 16. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

გ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების 10 დღით დარღვევის შემთხვევაში (ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი),

დ) 12.4. და 12.5 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვის მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დამატებითი პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

18.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

18.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ეკატერინე დანელია_____	**ირინე უჩანეიშვილი**_____
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	შპს "საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა" -ს დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

2019 წლის 20 თებერვლის №....4..... ხელშეკრულების
დანართი №1

N	პროდუქტის დასახელება	ერთეული	ერთ. ფასი	CPV
1	ყავა მარცვალი Top Class	ცალი (1კგ)	78 ლარი	15860000
2	ყავა მარცვალი Gold	ცალი (1კგ)	82 ლარი	
3	ყავა მარცვალი Super Crema	ცალი (1კგ)	70 ლარი	
4	შაქარი ლერწმის LAVAZZA 1 კგ	ცალი	9.70	15831000

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:

ეკატერინე დანელია_____

საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან:

ირინე უჩანეიშვილი_____

შპს "საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა" -ს დირექტორი

ბ.ა.

STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

Digitally signed by STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
Date: 2019.02.20 11:44:31 +04'00'

Georgia distribution and logistics LTD

Digitally signed by Georgia distribution and logistics LTD
Date: 2019.02.20 16:49:03 +04'00'

ც ნ ო ბ ა

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

20.02 2019 წელი

ჩვენ წინამდებარე ცნობაზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ **ყავის და შაქრის** შესყიდვის პროცედურის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა, არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მომწოდებელ **შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა"-სთან** ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი,
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ..... /ე. დანელია/

საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე ...../ვ მაისურაძე/

ადმინისტრაციის უფროსი ..... /ვ. ბრაგვაძე/